



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება № 10

03 01 2018წ.

ქ. თბილისი

„მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01
ივნისის №225 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული
მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის მენეჯერის 2017 წლის 28
დეკემბრის №1593375 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2017
წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი
საბჭოების დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი
ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-
3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი
მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №225 ბრძანებაში და:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„„მედიცინის“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“;

ბ) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს „მედიცინის“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი დანართის შესაბამისად“;

გ) ბრძანების დანართი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის პირველი იანვრიდან.

3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი



თამარ მახარაშვილი